**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

**08 / სექტემბერი / 2023 წ.**

KA021708288454023

№ **5/49298**

სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის
ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 08.09.2023წ. NMES 2 23 0001105375 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ქონების იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ქონება, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ქონება, სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნუგზარი წამალაშვილი